დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

კინომცოდნეობა

სამაგისტრო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 თებერვალი, 2025 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **თამარ**

გვარი **ჩხეიძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	კინომცოდნეობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	კინომცოდნეობის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	N/A
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	**0215** მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება Music and Performing Art
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო. კორპუსები A, B, D
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 09/01/2024, გადაწყვეტილება N 0010244
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	19/12/2023
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	19/12/2024

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	19/12/2030

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		✓		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: “Master of Film Studies”; (1.1)
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კრიტიკული წერა“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე წარმოდგენილი იყოს განსხვავებული სახელწოდებით, მიზნით, სწავლის

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

შედეგებით, თემატიკით და სასწავლო რესურსით; (1.4)

3. რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერის მომზადება, რათა იგი შეესაბამებოდეს მიმართულების/დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს; (1.5)
4. რეკომენდებულია, გადამუშავდეს სასწავლო კურსი „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“, რომელშიც გვხვდება მიზნის, სწავლის შედეგების, თემების და ლიტერატურის დუბლირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსთან „თანამედროვე კინემატოგრაფი“. (1.5)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

2024 წლის 09 იანვრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№0010244, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 19/12/2023) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კინომცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და ვალდებულებად განესაზღვრა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ 1 წლის თავზე (19.12.2024) ანგარიშის წარმოდგენა.

დაწესებულებამ გათვალისწინებული ვადების დაცვით, 2024 წლის 16 დეკემბერს ხარისხის განვითარების ცენტრში წარადგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, რომელშიც ასახულია, რომ საბაკალავრო პროგრამის ,,კინომცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” სამუშაო ჯგუფმა განიხილა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და დაგეგმა პროცესები რეკომენდაციების შესასრულებლად.

სამუშო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სპეციალისტი და აკად. პერსონალის წარმომადგენელი. დაწესებულებამ განაახლა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც დამტკიცდა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს თან ერთვის რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

1. ---------- N/A

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

N/A

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პრგრამების შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება[13]	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია კვალიფიკაციის სათაურის გასწორება ინგლისურ ენაზე შემდეგნაირად: „Master of Film Studies". (1.1)
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესწორებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად და ინგლისურ ენაზე ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ Master of Film Studies".
რჩევა[15]I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	კურიკულუმი

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	შედეგები და მათთან პრგრამების შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კრიტიკული წერა“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე წარმოდგენილი იყოს განსხვავებული სახელწოდებით, მიზნით, სწავლის შედეგებით, თემატიკით და სასწავლო რესურსით; (1.4)
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსის ავტორის გადაწყვეტილებით მოდიფიცირდა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“. შეიცვალა კურსის სახელწოდება, სწავლის შედეგები და სასწავლო თემატიკა. კურსის სახელწოდება განისაზღვრა ამგვარად: „ფილმისა და ვიზუალური შეტყობინებების კრიტიკული ანალიზი“.
რჩევა[17]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამა, კურსების კატალოგი და სასწავლო კურსის - “„ფილმისა და ვიზუალური შეტყობინებების კრიტიკული ანალიზი“ სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პრგრამების შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II[18]	რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება ან რიდერის მომზადება, რათა იგი შეესაბამებოდეს მიმართულების/ დარგის თანამედროვე მიღწევებს და უახლეს კვლევებს; (1.5)
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განახლებულია. დაწესებულებამ შექმნა ახალი ქართულენოვანი სასწავლო რესურსი - განახორციელა წიგნის “Film, Form, and Culture. Robert P. Kolker, Marsha Gordon (5th Edition), 2024” თარგმანი ქართულ ენაზე. თარგმანი განხორციელდა აშშ-ის

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების მიერ გამოცხადებულ კონკურსში „წიგნის თარგმნის პროგრამა 2024“ მოპოვებული დაფინანსების ფარგლებში. წიგნი „ფილმი, ფორმა და კულტურა" (რობერტ კოლკერი, მარშა გორდონი, მე-5 გამოცემა, 2024, Routledge) მოიცავს კინოთეორიების, კულტურული კონტექსტების, ფილოსოფიის, პოლიტიკის, იდეოლოგიების, თანამედროვე გამოწვევებისა და კინოს ისტორიული პროცესების განხილვას. ყოველივე ეს შესაძლებლობას მისცემს კინომცოდნეებს, სტუდენტებსა და კინოთი დაინტერესებულ ახალგაზრდებს დაინახონ კინოს კვლევის კომპლექსური სურათი და შეისწავლონ სხვადასხვა პერიოდის, ჟანრის, შინაარსის კინემატოგრაფია. წიგნში წარმოდგენილი სხვადასხვა ნაწილები/თავები გათვალისწინებულია პროგრამის სილაბუსებში („დასავლური კაპიტალიზმი 21-ე საუკუნის ევროპის სოციალურ კინოში“, „გზის ფილმები მოხეტიალე ავტორები და პერსონაჟები“, “მსოფლიო კინო და მისი ანალიზი“) სასწავლო ლიტერატურად. ლიტერატურა განახლდა და მოდიფიცირდა სასწავლო კურსების - „ფილმისა და ვიზუალური შეტყობინების კრიტიკული ანალიზი“ და „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები” სილაბუსებშიც.
რჩევა[19]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების - „ფილმისა და ვიზუალური შეტყობინების კრიტიკული ანალიზი“, „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები” სილაბუსები; დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია: https://shorturl.at/IJZ2R

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პრგრამების შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია III[20]	რეკომენდებულია, გადამუშავდეს სასწავლო კურსი „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“, რომელშიც გვხვდება მიზნის, სწავლის შედეგების, თემების და ლიტერატურის დუბლირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსთან „თანამედროვე კინემატოგრაფი“. (1.5)
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია:** სილაბუსში გამოსწორებულია ხარვეზები. სასწავლო კურსის სილაბუსი „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“ გადამუშვებულია რეკომენდაციების შესაბამისად. აქვე აღვნიშნავთ, რომ მიზანშეწონილია სილაბუსში და კურსების კატალოგში სასწავლო კურსების დასახელებები ერთმანეთს ემთხვეოდეს: „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები” კურსების კატალოგში წარმოდგენილია დასახელებით - „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციების კვლევა.”
რჩევა[21]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების - „თანამედროვე მსოფლიო კინოს პრობლემები და ტენდენციები“, „თანამედროვე კინემატოგრაფი“ სილაბუსები;

თანდართული დოკუმენტაცია[22]

არ ერთვის

ექსპერტის ხელმოწერა

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა